PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი
წევრები:გიორგი დათუკიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

II. ვიზიტისსაერთომიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 09/06/2020 N 3 20 00450012 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - ნაზო წიბლიაშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე) და გიორგი დათუკიშვილი (ჯგუფის წევრი) 2020 წლის 19ივნისს განახორციელა ვიზიტი სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ (შემდგომში „დაწესებულება“/ „კოლეჯი“).

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„ვებტექნოლოგიების“ დამატების და ამავე პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული “საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების” 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების არსებული პრაქტიკა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ, ასევე ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მოხდა საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა და მისი შესაბამისობა მისიასთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებითან მიმართებით. სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დაწესებულებას გაეცნო ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულებას სპეციალობის ერთ-ერთ პროფესიულ მასწავლებლად აყვანილი ყავს სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროგესიული მომზადების ცენტრის“ კურსდამთავრებული, ექსპერტებმა ჩავთვალეთ რომ აღნიშნული ფაქტი არის საუკეთესო გამოცდილება.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებაში მ.წ. 13 მარტს განხორციელებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით, რომლის დროსაც არ დაფიქსირებულა რეკომენდაციები.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

- **კომპონენტი 2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.**

რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ - კოლეჯ „გლდანისპროფესიულიმომზადებისცენტრში“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესი, რომელშიც გაწერილია დირექცია/ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ არაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომსსიპ - კოლეჯ „გლდანისპროფესიულიმომზადებისცენტრის“ თანამშრომელთაფუნქციონალურიუფლება-მოვალეობებით (დამტკ. ბრძ.N23; 11.02.20 წ) განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები.

2020 წლის 10 ივლისის არგუმენტირებული წერილით დაწესებულებამ განაცხადა რომ არ ითვალისწინებდა ექსპერტთა პოზიციას, ყველა ის გარემოებები რაზეც აპელირებს დაწესებულება ექსპერტებს აღწერილი აქვს დასკვაში, თუმცა სტანდატის მოთხოვნის, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით რომ პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი ითვლება ადმინისტრაციულ პერსონალად დაწესებულებამ უნდა გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომ ის უნდა იყოს დარგობრივი კომპეტენციის პირი და არა ვთქვათ რაოდენობრივი წიგნიერების ან/და სამოქალაქო განათლების პროფესიული მასწავლებელი.

- **კომპონენტი 2.4.1. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

<u>პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და ასევე კოლეჯის მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

<u>ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწიეს დაწესებულებას, რომ მოდულის „პრაქტიკული პროექტი -ვებ ტექნოლოგიები“ განხორციელების ალტერნატივად განიხილონ საკუთარიბაზა, ვინაიდან მოდულის სწავლის შედეგები კოლეჯში უფრო სრულყოფილად იქნება მიღწევადი.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ ითვალისწინებს მოდულს „პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები“, დაწესებულებას მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში აღნიშნული აქვს „პრაქტიკული პროექტის მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში.

„პრაქტიკული პროექტი -ვებტექნოლოგიები“ მოდულის განხორციელების ადგილი: სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, ილია ვეკუას ქ. N 44, აუდიტორია N14 (B გარემო) და ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი“/ „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“/ შპს ,,მეგაპლიუსი - C გარემო“ აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი იყო პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან, შპს „მეგაპლიუს“, მემორანდუმი № 454), შპს „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“ (მემორანდუმი № 453), შპს “კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი” (მემორანდუმი N 452) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. პარტნიორ კომპანიებში განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია, რა დროსაც გამოიკვეთა რომ აღნიშნული კომპანიები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, კერძოდ შპს „მეგაპლიუს“ არის პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანია საცალო ვაჭრობის ობიექტებისთვის. მათი ძირითადი სამუშაო მიმართულება არ არის ვებტექნოლოგიები, ხოლო შპს „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“ და შპს “კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი” არის სასწავლო ცენტრი, რომელიც თვითონ ახორციელებს სასწავლო კურსებს და არ ითვალისწინებდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული პროექტის შესრულებას. ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტებს უნდა წაყოლოდა კოლეჯის წარმომადგენელი, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელი და მას უნდა განეხორციელებინა კონტროლი პროექტის შესრულებაზე და მასვე უნდა შეეფასებინა პროფესიული სტუდენტი კოლეჯის ბაზაზე. დაწესებულებას განემარტა რომ პარტნიორ დაწესებულებებში შეუძლებელი იყო იმ სწავლის შედეგების მიღწევა რომელიც გათვალისწინებულია მოდულით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

2020 წლის 10 ივლისის არგუმენტირებული წერილით დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა პოზიცია, დაწესებულების მიერ 2020 წლის 8 ივლისს გამოცემულია ბრძანება N 97 რომლის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილება და მოდულის "პრაქტიკული პროექტი- ვებტექნოლოგიები" განხორციელების ადგილად მითითებულია სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"

განვითარების რეკომენდაცია

- **კომპონენტი 2.3.1. ქვესტანდარტი 2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.**

  სასურველია დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს დამსაქმებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი გამოკითხვის კითხვარები.

  პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი წარმოდგენილი კითხვარები მოიცავდა კითხვებს რომელზე პასუხებიც დაწესებულებას არ აძლევს არაფრის განსაზღვრის საშუალებას, ასევე დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი კითხვარები იმდენად დიდი მოცულობისაა რომ დამსაქმებლისთვის დისკომფორტის შემქმნელი იქნება მათზე პასუხები, თან ძირითადად ჩასაწერ ინფორმაციას მოიცავს.

2020 წლის 10 ივლისის არგუმენტირებული წერილით დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა პოზიცია, დაწესებულების მიერ 2020 წლის 8 ივლისს გამოცემულია ბრძანება N 98 რომლის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარი გადამუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, ასევე გადამუშავებული იქნა დამსაქმებლის კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	29.05.2020 წ. N 67
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისის, ილია ვეკუას ქ. N 44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (ორმოცი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	20 (ოცი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114 (ასთოთხმეტი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63 (სამოცდასამი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144 (ასორმოცდაოთხი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93 (ოთხმოცდაცამეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას დაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკ.დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით), რომლის თანახმადაც „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ან/და საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი მოიპოვებენ და ამუშავებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: ა) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ; ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით; გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით. მოდულური პროგრამის დამატების თაობაზე, შესაბამისი მოკვლევისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი კომისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის, ინიციატორ(ებ)ისა და კომისიის სხვა წევრებისგან. შესაბამისი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან დამატებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით".

ექსპერტების მიერ გადაამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. კოლეჯის მისიაა „თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის, ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free
კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით“, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (დამტ. ბრძ.N43; 11.05.2018წ; ცვლ. ბრძ. N73; 29.05.2020წ.) პირველი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრისა და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების დანერგვა/ პილოტირება.

2019 წელს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით (დამტ.ბრძ.N65; 08.08.2019; ცვლ. ბრძ.N 68; 20.05.2020) 2020 წლის მიღებისთვის, კოლეჯი გეგმავს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ინტეგრირების მიზანია საბაზო განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ და ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს

- ვებტექნოლოგია შრომის ბაზარზე არის აქტუალური და მოთხოვნადი სპეციალობა, საქართველოში იზრდება კვალიფიკაციურ კადრზე მოთხოვა, როგორც დიდი და საშუალო, ასევე მცირე ბიზნესის მხრიდან.
- მაღალია კურსდამთავრებულთა როგორც დასაქმების ასევე თვითდასაქმების შესაძლებლობები;
- ვებტექნოლოგიების მიმართულებით ყოველდღიურად იზრდება მსურველთა მოთხოვნა და დაინტერესება.
- დაწესებულება 2012 წლიდან ახორციელებდა სხვადასხვა მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამებს („ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)“ (საგნობრივი) და „ვებპროგრამისტი“ (მოდულური).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია„ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)“ (საგნობრივი) და „ვებპროგრამისტი“ (მოდულური) კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა რომლის თანახმად 82% დასაქმებულია.

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება დამატებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

ეყრდნობა აპლიკანტების გამოკითხვას, რომლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებპროგრამისტი“, რომელზე დაშვების წინაპირობაც იყო სრული ზოგადი განათლება, რეგისტრაციის მსურველთა 50% %-იიყვნენ აპლიკანტები, რომელთაც ჰქონდათ საბაზო განათლება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს აპლიკანტთა ზეპირი გამოკითხვით, რომელიც ხორციელდება კოლეჯში პროფორიენტაციის მიზნით განხორციელებული სკოლის მოსწავლეების ვიზიტის ან/და დაწესებულების წარმომადგენლების სკოლაში ვიზიტის დროს.

<u>**დაწესებულების გადაწყვეტილება „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებასთან დაკავშირებით ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „ვებტექნოლოგიების“და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანება „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დამტ. ბრძ. N67; 29.05.20 წ) დეტალურადაა აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები

ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება

ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

განათლება.

„ვებტექნოლოგიების“ ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები შეესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებასთან“.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკ. ბრძ. N25; 18.02.20), რომლის მიხედვით თითოეული პროგრამისათვის დაწესებულება განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას. მეთოდოლოგიის მიხედვით, კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად გარემოებებს:

ა) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ბ) რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის, სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელთა რაოდენობა;

გ) სასწავლო გარემო;

დ) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი;

ე) შრომის ბაზარი და დამსაქმებლების მოთხოვნები;

ვ) პროგრამის ხანგრძლივობა;

ზ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი;

თ) პარტნიორი კომპანიები.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა “ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება 40 ადგილით (20 ადგილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებისას, ხოლო 20 ადგილი - ინტეგრირების გარეშე). პროგრამის სპეციალობის მოდულების (ორივე მიდგომით) გასახორციელებლად გამოიყენება ერთი აუდიტორია (სხვადასხვა ცვლაში), პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში გამოყოფილია დამატებით ერთი ლაბორატორია და ზოგადი მოდულებისთვის - ცალკე აუდიტორია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“, ისე ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგებთან. მოდულებში მითითებულია ყველა სავალდებულო ლიტერატურა, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

<u>ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში/მოდულებში სწავლის შედეგების მისაღწევად მითითებულია რელევანტური სასწავლო რესურსები.</u>

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის რესურსი წარმოდგენილია განაცხადის №3 დანართის სახით, სადაც მოცემულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი, რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. ვიზიტამდე წარმოდგენილი დანართი შეედარა „ვებტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტით დამტკიცებულ სარეკომენდაციო მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170 ბრძანების ,,საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებისათვის განსაზღვრულ ტექნიკურ აღჭურვილობას, ადგილზე გადამოწმდა დანართით გათვალისწინებული აღჭურვილობის ჩამონათვალი, **<u>ტექნიკური აღჭურვილობა სრულ შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ჩამონათვალთან, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

აღნიშნულ პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

<u>საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ</u> 2020 წლის 29 მაისის ბრძ. N67, კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდება, რომლის მუხლი 5, ი) პუნქტით ირკვევა, რომ დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

დაწესებულებას შემუშავებული და 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“ რომლის მე-4 მუხლის 7 პუნქტის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

„ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და „ვებტექნოლოგიების“ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის და 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამები, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი (საგანმანათლებლო სტანდარტი) „ვებტექნოლოგიები“, სარეგისტრაციო ნომერი: 06114-ს და 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“.

პროგრამიის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. <u>**შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ვებტექნოლოგიები“ დამატების მიზნით შექმნილი მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის სხდომის ოქმი №7;
- 2018-2025 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკ. ბრძ. N48; 11.05.2018 წ. ცვლ. ბრძ N73; 29.05.2020წ.);
- 2019-2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკ. ბრძ.N65;08.08.2019; ცვლ.ბრძ N68; 20.05.2020წ);
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკ.დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით);
- „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკ.ბრძ. N67; 29.05. 2020 წ)
- „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

- ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკ.ბრძ.N34; 02.05.2018 წ.ცვლ. ბრძ.N25; 18.02.2020 წ.)
- ,,ვეტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კონტიგენტის განსაზღვრის დოკუმენტი (როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მიდგომით)
- კოლეჯის წესდება (დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 121/ნ ბრძანებით)
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და დარგობრივი მოდულების სწავლება მიმდინარეობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიებში, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ მოდულის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კომპონენტები შესაბამისი აღჭურვილობის მქონე სივრცეებში სხვადასხვა ცვლაში.

დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია N14 აუდიტორია განკუთვნილია პროგრამის ორივე მიდგომით გასახორციელებელი პროფესიული მოდულებისათვის, აუდიტორია გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, აღჭურვილილობა სრულ შესაბამისობაშია განაცხადით წარმოდგენილი დანართი 3-ის აღჭურვილობასთან, განთავსებულია 20 მაგიდა და 20 კომპიუტერი ორ-ორი მონიტორით პროფესიული სტუდენტისათვის, ასევე პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, კომპიუტერი, ორი მონიტორი, კომბაინი (პრინტერი,სკანერი, ქსეროქსი), ტელევიზორი, დაფა; N17 აუდიტორია განკუთვნილია ინტეგრირებული მიდგომით განსახორციელებელი „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულისათვის, აღჭურვილილობა სრულ შესაბამისობაშია განაცხადით წარმოდგენილი დანართი 3-ის აღჭურვილობასთან, აუდიტორია გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, აღჭურვილია დანართი 3-ის შესაბამისად, განთავსებულია 20 მაგიდა და 20 ლეპტოპი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და ლეპტოპი პროფესიული მასწავლებლისთვის, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ორი დაფა, ამავე ოთახში განთავსებულია 10 ორ ადგილიანი ანტისტატიკური ლაბორატორიული მაგიდა, სამი რკინის საცავი-კარადა (ქიმიისთვის, ფიზიკისთვის და ბიოლოგიისთვის); N19 აუდიტორია გათვლილია ზოგადი მოდულების განსახორციელებლად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აუდიტორიაში განთავსებულია 21 მაგიდა და 21 ლეპტოპი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და ლეპტოპი პროფესიული მასწავლებლითვის, დაფა, პროექტორი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (როგორც ზოგად და დარგობრივ, ისე ინტეგრირებულ მოდულებზე) და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ აღემატება 40 სთ. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განსახორციელებლად 3 და ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად 26; პროგრამას დანართის სახით თან ახლავს დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების გადამოწმებით, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის მუხლი 3; პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესით“ (დამტკ. ბრძ.30; 02.05,18წ.) განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილნი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, რაც ასევე დადასტურდა განმახორციელებლებთან გასაუბრებით, პროგრამის სპეციალობის მოდულის განმახორციელებელიერთ-ერთი პედაგოგი არის ამავე კოლეჯის კურსდამთავრებული, რომელმაც გასაუბრებისას საკმაოდ კვალიფიციურად წარმოაჩინა სწავლებასთან და პროფესიული სტუდენტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკუთარი ხედვები, ასევე საკმაოდ კარგად ქონდათ გაცნობიერებული ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს ინტეგრირებული სწავლების მნიშვნელობა და როლი, მოდულების სპეციფიურობა და განხორციელების მიდგომები, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის განმახორციელებელ პირებს გაცნობიერებული აქვთ სწავლების პროცესში დისციპლინებს შორის მუდმივი ურთიერთკავშირი. ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირები შერჩეულია კონკურსის წესით და გავლილი აქვთ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა პირადი საბუთებით და გასაუბრებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესი, რომელშიც გაწერილია დირექცია/ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ არაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომსსიპ - კოლეჯ „გლდანისპროფესიულიმომზადებისცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობებით (დამტკ. ბრძ.N23; 11.02.20 წ) განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები.

<u>**დაწესებულებას არა აქვს გაწერილიპროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხვნები, რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებამ უზრუნველყო ასევე ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

შენობა ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც საშუალებას აძლევს სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა ქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სსსმ პირებისათვის, საჭიროებიდან გამომდინარე (პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ხარისხის მართვის მენეჯერის და სსსმ პირის ჩართულობით) ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი ხდება აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. არსებული პრაქტიკის მიზნით გადამოწმდა ადაპტირებული ინდივიდუალური გეგმები და მოდულები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

პროგრამულად, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი“(დამტკ. ბრძ. N30; 02.05.18წ.)
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;

შეფასება:

☐შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურები და მექანიზმები, ასევე დაწესებულებაში მოქმედებს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: P – plan - დაგეგმვა; D – do - განხორციელება; C - check - შემოწმება; A – act - რეაგირება.

დაწესებულება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფარგლებში ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები) მხრიდან უკუკავშირი ხორციელდება სწორედ მათ მიერ შევსებული კითხვარების მეშვეობით, რის შემდეგაც ხდება მათი ანალიზი და შემდგომი რეაგირება.

აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა არსებული პრაქტიკის დოკუმენტაცია, სსიპ -კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა(დამტკ. ბრძ.N 45; 23.04.2020წ.), სსიპ-სსიპ -კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2019 წლის დეკემბერში ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოკითხვის ანალიზი, რომელშიც გაანალიზებული იყო პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფეიული მასწავლებლების, დამსაქმებლების და კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა, გამოკითხვის კითხვარები, ასევე ლექციებზე დასწრების ოქმები.

<u>**სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარესასურველია დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს დამსაქმებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი გამოკითხვის კითხვარები.**</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიაში“, გაწერილია პროგრამაში /მოდულებში ცვლილების შეტანის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის განვითარების მექანიზმებს, რომლის ერთერთი კომპონენტია დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამის შეფასების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

დაწესებულებაში არ დამდგარა საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნილება. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დაწეებულებას აქვს პრაქტიკა პროგრამების განვითარების მიზნით ცენტრს მიმართოს ინიციატივებით. ასეთი პრეცენდენტები განხორციელდა 2018 წელს, როცა კოლეჯის ინიციატივა განიხილა დარგობრივმა საბჭომ და გარკვეულ პროგრამებში შეიტანეს ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანისპროფესიულიმომზადებისცენტრის“ პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისშემუშავების, დამტკიცების, მასშიცვლილებისშეტანის, განვითარების, შეფასებისადაგაუქმებისმეთოდოლოგია(დამტკ.ბრძ. N28; 18.02. 2020 წ.)
- სსიპ -კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის “2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა (დამტკ. ბრძ.N 45; 23.04.2020წ.)
- სსიპ-სსიპ -კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2019 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტი;
- შეფასების კითხვარების ფორმები (დამტკ.ბრძ.N109; 06.12.2019 წ.).
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმები, რომელთა მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ორი სასწავლო გეგმა: ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით (პროგრამის მოცულობა 114 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა - 28,5 სასწავლო თვე (114 სასწავლო კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 144 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივიბა - 34 სასწავლო თვე (136 კვირა)) და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე (პროგრამის მოცულობა 63 კრედიტი, (პროგრამის ხანგრძლივობა - 12 სასწავლო თვე (47სასწავლო კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 93 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 17 სასწავლო თვე (69 კვირა)), სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმა გაწერილია 3 წელზე, ინტეგრირებული მოდულები გეგმას გასდევს მთელი სამი წლის განმავლობაში. სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, "სასწავლო პროცესის ორგანიზება ხდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, რისთვისაც სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო ცხრილების შედგენისას მაქსიმალურად ცდილობს პროფ. სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებას.

არსებული პრაქტიკის დაზუსტების მიზნით მოხდა გასაუბრება სასწავლო პორცესის მენეჯერთან რა დროსაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო ცხრილები და ჯგუფები დგება ისე რომ მორგებული იყოს პირველ და მეორე ცვლის პროფესიულ სტუდენტებზე. სასწავლო ცხრილები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები და ვიზუალური ელექტრონული მასალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს (დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის ბრძ. N58; ცვლ. დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძ. N70;) სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის თანახმად მისი შემუშავების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, თუ

ა) სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/ მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/ პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის, სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან;

გ) პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით.

დაწესებულებაში აღნიშნული გეგმების შედგენის აუცილებლობა მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არ დამდგარა გარდა სსსმ პირებისა.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ ითვალისწინებს მოდულს „პრაქტიკულ პროექტი - ვებტექნოლოგიები“, დაწესებულებას მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში აღნიშნული აქვს „პრაქტიკული პროექტის მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში.

„პრაქტიკულ პროექტი -ვებტექნოლოგიები“ მოდულის განხორციელების ადგილი: სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, ილია ვეკუას ქ. N 44, აუდიტორია N14 (B გარემო) და ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

სითიეი“/ „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“/ შპს ,,მეგაპლიუსი - C გარემო“ აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი იყო პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან, შპს „მეგაპლიუს“, მემორანდუმი № 454), შპს „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“ (მემორანდუმი № 453), შპს “კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი” (მემორანდუმი N 452) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. პარტნიორ კომპანიებში განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია, რა დროსაც გამოიკვეთა რომ აღნიშნული კომპანიები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, კერძოდ შპს „მეგაპლიუს“ არის პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანია საცალო ვაჭრობის ობიექტებისთვის. მათი ძირითადი სამუშაო მიმართულება არ არის ვებტექნოლოგიები, ხოლო შპს „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“ და შპს “კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი” არის სასწავლო ცენტრი, რომელიც თვითონ ახორციელებს სასწავლო კურსებს და არ ითვალისწინებდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული პროექტის შესრულებას. ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტებს უნდა წაყოლოდა კოლეჯის წარმომადგენელი, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელი და მას უნდა განეხორციელებინა კონტროლი პროექტის შესრულებაზე და მასვე უნდა შეეფასებინა პროფესიული სტუდენტი კოლეჯის ბაზაზე. დაწესებულებას განემარტა რომ პარტნიორ დაწესებულებებში შეუძლებელი იყო იმ სწავლის შედეგების მიღწევა რომელიც გათვალისწინებულია მოდულით, <u>პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და ასევე კოლეჯის მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწია დაწესებულებას ალტერნატივად განიხილონ საკუთარი ბაზა, ვინაიდან მოდულის სწავლის შედეგები კოლეჯში უფრო სრულყოფილად იქნება მიღწევადი.</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში შემუშავებულია სსიპ - კოლეჯი „გლდნის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“ და „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები“ (დამტკ. დირექტორის 2018 წ. 27 აპრილის ბრძ. N26), საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე, კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები.საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ კოლეჯის რამდენიმე თანამშრომელს ჩაუტარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო-თეორიული ტრენინგი. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიაში დამატებით განთავსებულია სამედიცინო ყუთი და ცეცხლმაქრი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკ.ბრძ. N67; 29.05. 2020 წ.)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ.ბრძ. N62; 8.08. 2019წ; ცვლ. ბრძ.N106, 28.11.2019 წ.)
- სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკ.ბრძ. N28; 18.02. 2020 წ.)
- ,,სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (დამტკ.ბრძ. N58; 26.06. 2018წ. ცვლ. ბრძ.N70, 29.05.2020 წ.)
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ,,სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები (დამტკ.ბრძ. N26; 27.04. 2018წ.)
- ვიზუალური დათვალიერებით
- ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N40, 27.03.2020 წ.), სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების მექნიზმები და პროცედურები. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას. წესი ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და შიდა მონიტორინგს, მტკიცებულებების შეგროვებასა და შენახვას, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას, შეფასების შედეგების გაცნობას პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესებსა და შეფასების გასაჩივრების რეგულაციებს. დაწესებულებაში აღნიშნული წესის მუხლი 5 ასევე შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოქმედი კომისია, რომელიც ასევე აფასებს გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭირვალობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N40, 27.03.2020 წ.) მუხლი 11 შესაბამისად დაწესებულებაში დანერგილია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივიაქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N40, 27.03.2020 წ.) მუხლი 13 შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას:

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით.

პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაცის/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასაცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N40, 27.03.2020 წ.) მუხლი 9[1] შესაბამისად დაწესებულება განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და გამოიყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, (დამტკ. ბრძ. N26; 18.02. 2020 წ.ცვლ. ბრძ. N40, 27.03.2020 წ.),
- პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივ მოქმედი კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება (ბრძ.N37; 07.05.19წ.);
- ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი 2020)

PDF Eraser Free
შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

12.07.20წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: